წელიწადი 1-ლი № 22

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა
სახლი გოკიელოვისა „ძმობის“ სტამბა
ში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 7 სეკტემბერი 1917

რედაქტორი:
პატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

გაზეთის ფასი: განცხადების ფასი:
1 წლით . . 6 მ. პირველ გვ. [illegible]
6 თვით. 3 მ. 50 კ. უკანასკნელ გვერ. 15 კ.
1 ნახ. თვ. 1 მ. 80 კ. სამგლოვიარო გან-
1 თვით . . 80 კ. ცხადება . 5 მ.

ხმა
ქართველი ქალისა

ფასი 10 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 10 კ.

ქალებო, დაიცავით საარჩევნო უფლება!

7 სეკტემბერი.

ერთმა მწერალმა სთქვა: „რუსეთი იღუპება თვით-მყრობელობით, არაყით და პროსტიტუციით“-ო. და ეს სრული ჭეშმარიტებაა. თვითმყრობელობა დღეს მოისპო, მაგრამ დარჩა ორი საშინელი მტერი მოდგმისათვის: არაყი და პროსტიტუცია, რომელთ საზარელი შედეგი ხრავს თქვენი და შვილების ტანმრთელობას დიდებო! რომელსაც მიჰყავს მომავალი თაობა სრულ გადაგვარებამდე. და ეს ხდება მისთვის, რომ ქალები კანონს წინაშე ხმა გაკმენდილი მცირე წლოვანი ვართ.

დებო და ამხანაგებო, მას შემდეგ რაც ქალებმა სწავლა განათლების გზაზე ფეხი შესდგეს და დაინახეს სიდუხჭირე თავიანთი ცხოვრებისა, მათი უკეთესი ნაწილის ტვინი აღშფოთებით იწვის, მათი გრძნობები იშამლება იმ წარმოდგენით, რომ ისინი ეკუთნიან იმ სქესს, რომელსაც სიტლანქე, ბიწიერება და მუშტის ძალა ადამიანთა წრიდან რიცხავს და ათახსირებს. რაც უნდა ბედნიერი იყოს, დღეს დედაკაცი თავის კერძო ცხოვრებაში, თუ მას ადამიანური თავ-მოყვარეობა გაღვიძებული აქვს, მას არ შეუძლია კმაყოფილი იყოს თავის ცხოვრებით, იმ წარმოდგენით, რომ ის ეკუთვნის ღირსება აყრილს სქეს. ამ თავმოყვარეობამ უნდა გაიღვიძოს დღეს მთელი რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქალებში, და ის ხმა, რომლის პატრონნი დღესა ვართ უპირველეს ყოვლისა დედობითი სქესის მოქალაქურს და პოლიტიკურ უფლების აღდგენას უნდა მოხმარდეს. ეს ხმა უნდა იყოს ერთსულოვანი ქართველ ქალებში ჯერ დამფუძნებელ კრებისათვის და შემდეგ ავტონომიურ საქართველოში, სადაც უნდა შემუშავდეს ადგილობრივი კანონები ჩვენი შინაური ცხოვრების მოსაწყობათ. მაგრამ ჩვენ, რომ მომზადებული დაუხვდეთ ერთსა და მეორესაც საჭიროა ქალთა კავშირების მოწყობა თვით გამორკვევისათვის და სოლიდარულ მოქმედებისათვის. ასეთს კავშირების მოწყობას კი ქალთა უფლების მტერნი ხელს უშლიან. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთს შემთხვევაში დაუჯეროთ მათ, რომელიც სხვა და სხვა სოციალისტური პარტიების სახელით ხელს უწყობენ ჩვენი ძალების დაქსასვას, თუ დავადგეთ დამოუკიდებელს გზას და თვით მოქმედებას? ორში ერთი მას, ვისაც სურთ მონათ ყოფნა დაუჯერებს პირველთ და ვისაც სურს გახდეს სრულ უფლებიანი ადამიანი ხელს შეუწყობს ქალთა ორგანიზაციულად შეკავშირებას და ძალთა შეგროვებას. ამ უკანასკნელს გზას ვადგევართ ჩვენ,-წევრები **ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკურ კლუბისა.** ამხანაგებო, თქვენ გეუბნებიან, რომ ჩვენ ბურჟუა ქალები ვართ, რომელთანაც მუშა ქალებს საერთო არაფერი აქვს, ამას ამბობენ თქვენი ამხანაგები მამაკაცები, რომელნიც გულით დასცინიან ქალთა სწორუფლიანობას. ამას გეუბნებიან ის ქალები, რომლებიც არა თავისი ეკონომიური მდგომარეობით გამხდარან პროლეტარის ამხანაგი, არამედ მოდურად. და მოქმედობენ არა შინაგანი მატივებით, არამედ გარედან ხელის ჯიკავით. ასეთი პირები ვერ დაიცავენ პროლეტარ ქალის ინტერესს. და ნურც ენდობით მათ! დღეს, საერთო შენების დღეა და არა განხეთქილობისა. ის ბურჟუა ქალი, რომელიც თავის ადამიანურს უფლების დასაცველად აღმდგარა, ჩვენი ამხანაგია, რადგან ისეც ჩვენსავით მონა ქალია—და შეიძლება უფრო მეტადაც. მას ჩვენ ხელს ვერა ვკრავთ. მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენს სამშობლოში ეგრე მცირეა რიცხვი პროლეტარ მამაკაცებისა. ჩვენ ქალები კი თითქმის ყველანი პროლეტარი ვართ, რადგან საკუთარი ქონება არსად არ მოგვეძევება. ჩვენ, ჩვენი უუფლებო მდგომარეობით პროლეტარი და ბურჟუა მამაკაცების სარჩენი ვართ, როგორც შვილები და ცოლები. იმ განსხვავებით, რომ ერთი ღარიბათ და მეორე შეძლებულად ვცხოვრობთ. მაგრამ მარტო ერთ ჭამაში და ჩაცმა დახურვაში ხომ არ არის საქმე? ჩვენ ქართველი ქალები ჯერ არ გამოვხარშულვართ ფაბრიკის ქვაბში, რომ ყოველგვარი ეთიკური საკითხი დაგვიწყებოდა. ადამიანური თავმოყვარეობა, როგორც მუშა, ისე ბურჟუა ქალებში ღვივის. და ამ თავმოყვარეობამ უნდა შეგვაერთოს ჩვენ, იმ მონურ უუფლებო მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიაც ერთიცა მეორეც ვიმყოფებით. შემოკრბით ქალთა საერთო ორგანისაციის გარშემო, რომ საერთო ძალით შევუდგეთ დამფუძნებელ კრებისათვის მზადებას და ჩვენი ადამიანური უფლების დაცვას. ძირს მაცდურნი მასწავლებელნი და ცბიერი ამხანაგები! ჩვენ გვესმის მათი სისინი, რომელშიაც ვგრძნობთ ჩვენს სიძლიერეს!

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

ამ გვარად მილიტარიზმის გაძლიერებასთან ერთად ქალთა მონობაც ძლიერდება.

რამდენათაც უფრო სასტიკი და მეომარი იყო ესა თუ ის ხალხი, რამდენათაც მეტი დაპყრობილი ლტოლვის მატარებელი, იმდენათ ის მეტად სჩაგრავდა ქალებს და თანაც მეტს პატრიოტიულს გრძნობას იჩენდა. მთელს აზიაში ასირო-ბაბილონელნი ცნობილნი იყვნენ თავისი სისასტიკით, სამხედრო ლტოლვათ და პატრიოტიული გრძნობით. ბაბილონის მრავალ ღმერთებთა შორის ეროვნული. ღმერთი ყველაზე მაღლა იდგა, რომლის წარმომადგენელი დედამიწაზე მისი მოადგილე მეფე მამაკაცი იყო. სანამ ასურელნი საომრად წავიდოდა მან მიმართა ეროვნების ღმერთს და თავის ქვეშევრდომთ შემდეგ აუწყა: ღმერთებმა ისმინეს ჩემი ხმა და თავიანთი ერთგული მოწყალებით მომივლინეს წინათგრძნობა: ,,წადი ნუ დაიხევ უკან, ჩვენ ვივლით შენს გვერდით და დაგიმარცხებთ მტერებს!“ 1) ცხადია ეს ეროვნების ღმერთი მას ქალთა სასარგებლოთ არას ამხელდა. და იმ ადგილებშიაც, სადაც ქალი მეტად იჩაგრებოდა ის ნაკლებ ეროვნულს გრძნობასაც იჩენდა და ასეთს ადგილებში არც ვხვდებით ქვეყნისათვის თავგანწირულს გმირს ქალებს. იმ დროინდელს დესპოტიურ სახელმწიფოში ოჯახის შინაურ ცხოვრებაში სრული სიტლანქე მეფობდა. აქ ადგილი არა ჰქონდა ცოლქმართა სიყვარულით შეუღლებას. მეომარ ძველ ბერძენ რომაელთა ქორწინებას საფუძვლად მხოლოდ კერის კულტი (du foyer) ედვა, რადგან თითეულს ბერძენსა და რომაელს თავისი ოჯახური სარწმუნოება ჰქონდა. თავისი საკუთარი ღმერთები,—წინაპართა სული, რომლის წინაშე სამსახურის ღირსი, მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი იყო; და არამც და არამც ქალიშვილი, თუნდაც ის თავის დღეში არ გათხოვილიყო.. ოჯახი, რომ უვაჟოთ,—უმემკვიდროთ დარჩენილიყო მიცვალებულის სული უპატრონობით დაიტანჯებოდა და ავ-სულად გახდებოდა, რადგან მას საჭმელის მიმტანი არავინ ეყოლებოდა. სული სჭამდა მხოლოდ ბრინჯს კარაქსა და თაფლს. ოჯახის პირველი მამამთავარი უმაღლეს ღმერთად ითვლებოდა, რომლის წარმომადგენელი კერის ცეცხლი (Agui) იყო. მიცვალებულ დედაკაცების სულს არც საჭმელი ეძლეოდა და არც ლოცვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალებს უსულოთ სთვლიდენ, ვითარცა ჩვენი დროის ვეინინგერისტები.

როგორც ბერძნები, ისე რომაელები და ინდოელები თაყვანსა სცემდენ ამ კერის ცეცხლს, ამბობს ფუსტელ-დე-კულანჟი, რომლის დასამტკიცებლად **რიგ-ვედიდან** მას მოყავს ჰიმნი, რომლითაც ვაჟი კერის ცეცხს მიმართავს: ,,ჰო-აგნი, შენ ხარ ჩვენი ფრთხილი, მფარველი მამა! მოგვეც ჩვენ სიცოცხლე! ჩვენ ვართ შენი ოჯახი: ჰყავ მიწა ჩვენთვის ნაყოფიერი, მიგვახწევინე მოხუცებულობამდე, ისე როგორც მზე აზწევს თავის ჩავლას''. და სხვა. ცხადია ამბობს ფუსტელ დე-კულანჟი, რომ რომაელები ოვიდის დროს და ინდოელები ბრამანიზმის დროს კერის ცეცხლს ყველა ღმერთებზე უწინ თაყვანსა სცემდენ.

ამ გვარად ცოლქმობა საჭიროებაზე იყო დამყარებული და არა სიყვარულზე. ,,ჩვენ მისთვის ვირთავთ ცოლებს, ამბობდა დემოსვენი, რომ ნოვიპოვოთ კანონიერი შვილები და ერთგული დარაჯი ოჯახისა. გეტერები გვეჭირვება სატრფიალო გრძნობების დასაკმაყოფილებლად,,ო. მილიტარიზმის გაძლიერებამ, თუ რამდენათ წარუხოცა დედაკაცს პიროვნება ამის ნიმუშებს ჩვენ ვხედავთ მეომარი საბერძნეთის ცხოვრებაში, სადაც ბერძნის ცოლი სრულიად დამოკიდებულია ქმარშვილთაგან და გამოუჩენილი სტუმრებთან. მისი ბინა სახლის უკან იყო მიდგმული, რომლის ერთად ერთს საზოგადოებას, მხოლოდ მონები შეადგენდენ.

„გასწი აქედან და მიხედე წესისებრ ოჯახს
კერე და ქსოვე, ყური უგდე კარგათ მონებსა,
ბჭობა არ არის ქალის საქმე, არამედ ქმარის,
ეხლა კი ჩემი, დიახ ჩემი, რადგან ოჯახში,
მხოლოდ მე დავრჩი ბრძანებელი ბატონ პატრონი“1).

---

1) იხ. „La religion Assyro-Babylonienne“ par. P. Dhorma, et Maspero

1) თარგმანი გ. მუშლაძისა. ,,სოციალიზმი და დედაკაცი'' ბებელიდან.

ეუბნება სტუმრებთან გამოსულს დედას ბერძენი ტელემაკი. ამ გვარად ქალს ქმრის შემდეგ ბატონათ ვაჟიშვილი უხდებოდა.

„საუკეთესო პატივისცემის ღირსი ის ქალია, ამბობდა ფუკიდიდი, რომლის შესახებ მისი ოჯახის გარედ არც ავი ისმის და არც კარგი“. და როგორც აღნიშნავს ლ. ბრაუნი მხოლოდ ერთი პროსტიტუცია ანიჭებდა ბერძნის ქალს თავისუფლებას. და მონა ქალებთან ერთად წარჩინებული ოჯახის ქალებიც ემსახურებოდენ სიყვარულს ღმერთს. ეს ის დრო იყო, როცა სარწმუნოება ირღვეოდა, როცა სილამაზის ღმერთმა ე. ი. ტანის სიშიშვლემ დასძლია ყველა ღმერთები, რისიც განახლება მეოცე საუკუნის საქართველოში ეგრე გულით მოიწადინეს „ახალი პოეზიის“ მოძღვრებმა და მზგავსი წმინდა ხელოვნების დამცველ დეგენერატებმა.

კატო მიქელაძე.

ქალები და პოლიტიკური პარტიები.

ქალი პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს, ვიდრე მამაკაცი. ამაში დამნაშავე ქალი კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომელიც მამაკაცმა შეჰქმნა. მან მთელი ოჯახის ტვირთი ქალს მოახვია თავზე, თან ისეთი მძიმე საქმე, როგორიც არის მოუმზადებლათ შვილების აღზრდა. მამაკაცები, რომ მორჩება მუშაობას ან სამსახურს მერმე თავისუფალ დროს თავის გემოვნების დაგვარათ მოიხმარს. ქალი კი, რომელიც მსახურობს, რაც უნდა ბევრი ჯამაგირი ქონდეს და ამავე დროს ქმარსაც ეხმარებოდეს. (ფულით) ოჯახის საქმეს მაინც ვერ იშორებს თავიდან. მამაკაციც სულ ამას ჩასჩიჩინებს, რომ ქალის მოვალეობა ოჯახს მოუაროს და შვილებს. ამიტომაც რაც უნდა ნიჭიერი და დიდიდი მცოდნე იყოს ქალი, იმას თუ ქმარი თანამოაზრე და ხელის შემწყობი არ ყავს ის საზოგადოებისთვის მკვდარია.

ევლინა პანკხერსტი, ბერტა ზუტნერი, თუნდაც ქ-ნი კიური, რომ მათ თანამოაზრე და ხელშემწყობი ქმრები არ ყოლოდათ არა თუ მთელი ქვეყნისთვის, თავის ქალაქისათვისაც კი უცნობი იქნებოდენ.

ვილგელმი რეაქციონური შეხედულების იყო ქალებზე და ამბობდა, რომ ქალს უნდა ახსოვდეს სამი კ. (ე. ი.) ეკლესია, საბავშო ოთახი და სამზარეულო (ნემეცურათ ყველა ამათი სახელ კანზე-იწყება). მისმა ქალიშვილმა უპასუხა; „მამა, ნუ დაგავიწყდება მეოთხე კ. ესე იგი კონტიტუციაო“. ამით იმან მოაგონა თავის მამას, რომ ქალი პოლიტიკაშიაც უნდა იღებდეს მონაწილეობასო„. დღეს ვილგელმა შესცვალა თავის აზრი ქალზე და სხვანაირად მსჯელობს. ქალები არაოდეს არ ამბობდენ უარს თავის მოვალეობის ასრულებაზე,-თუ მოვალეობის გახსენება სჭირია ვინმეს, ეს უფრო მამაკაცს-რომელიც ხშირათ გვერდს უვლის თავის დანიშნულებას და ბოროტათ ხმარობს მას. ქალს, როგორც აღმზრდელს ყოველ მხრივ ესაჭიროება განვითარება-და თუ ის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ გაერია ამ მხრივ მოუმზადებელი იქნება და ვერ ჩაუნერგავს თავს შვილს მოქალაქურ გრძნობას და მოვალეობას. განა კორნელია გრახკს შეეძლო გაეზარდა თავის ვაჟები თავდადებული ხალხისთვის, რომ მას თავის მამისაგან ეს გრძნობა არ ქონოდა ჩანერგილი?

ახალ მთავრობამ უმფრო ღრმათ ჩაუკვირდა ქალთა კითხვას, დააფასა შრომა და ღვაწლი თავგანწირული რევოლიუციონერ ქალებისა, რომელნიც მამაკაცებთან ერთად, სახრჩობელაზედ და კატორღაში მიდიოდნენ, ციხეებში და შორეულ ციმბირში, დღეს-ლევდენ. გავიხსენოთ: კონოპლიანიკოვა, გინზბურგი, პეროვსკაია, გელფმანი, ზასულიჩი, ვოლკენშტეინი, სპირიდონოვა, ფიგნერი და ყველასაგან ცნობილი და პატივცემული ბებია რევოლიუციისა ბრე ბრეშკოვსკაია და-სხვანი მრავალნი, რომელთა სახელნიც პოლიციის მეოხებით დაკარგულა. ქალების ეხლანდელი მონაწილეობა ომში, დიდი ამაგიც უკვე დააფასა მთავრობამ. და იცნო ქალების ღვაწლი სასარგებლოთ და აგრეთვე მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიანიჭა არჩევნების უფლება. ჩვენმა პარტიებმა ამ მოვლენას სხვანაირათ შეხვდენ: ქალების არჩევნების უფლება თავის სასარგებლოთ გამოიყენეს, ჩვენი უფლების განხორციელებას ცხოვრებაში, წინაღუდგენ და ყველგან ქალების გაყვანას გზას ულობავდენ, როგორც შეეძლოთ.

ეს დაიწყო პირველ დღიდან განთავისუფლებისა, როდესაც ქალაქის კომიტეტები დაარსთა კავკასიის ქალთა საზოგადოებამ მიმართა კომიტეტს რათა ქალებიც მიეღოთ თავის წრეში. კითხვის გარჩევაც არ იკადრეს ისეთი ცივი უარით გამოისტუმრეს. მერმე ქართველი ქალების საზოგადოებამ ამავე წინადადებით მიმართა მათ, ესენიც უარით გამოისტუმრეს. ამის შემდეგ 14 ქალთა საზოგადოების შეერთებულმა [illegible] კომისარიატს თხოვნა გაუგზავნა. ზემო მოხსენებული თხოვნით, პასუხის ღირსიც არ გახადეს ქალები! უბნის კომიტეტშიც ქალის გაყვანას ხელს უშლიდენ. და ყველა ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ქალაქის 120 ხმამოსანთა შორის მარტო 5 ქალი გასულიყო. არის იმედი, რომ დამფუძნებელ კრებაში კავკასიიდან ერთ ქალსაც არ გაგზავნიან. ქალაქის ხმოსნების არჩევნების დროს-ყველა პარტიამ თავის კანდიტატების სიაში ქალი სწორეთ იმ ადგილს ჩასწერა, რომლის შემდეგ თავის კანდიტატის გაყვანის იმედი არ ქონდათ. ეს შეგნებულმა ქალებმა ძალიან კარგათ იცოდენ მარა რა ექნათ? სიას კომიტეტი არდგენდა, სადაც თავიდან ქალები არ დაუშვეს. განა ქალებს არ შეეძლო ქალაქისთვის სარგებლობა მოეტანათ, რომ ისინი 20 ან მეტი გაეყვანათ?

ვის, თუ არა ქალს აწუხებს ეხლანდელი სიძვირე, სასურსათო საქმეს მოუწყობლობა? ვის, თუ არა ქალს გულს უღრნეს პატარა შვილების ტირილი, როდესაც ისინი შიმშილს, ტკივილს, ან სიცივეს გრძნობენ? მარა ვინ აქცევს ამას ყურადღებას?!

ქალს ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც, რომ იმისთანა კითხვები, როგორიც არის: სწავლა-განათლება, მედიცინა, სანიტარია და სასურსათო საქმე სარგებლობა მოუტანოს. და არც სხვა საქმეებში იქნებოდენ უვარგისი. ქალი, როგორც ფუტკარი პატიოსანი, წყნარი დაუღალავი მუშაა. ეს მისი თვისება ყველასგან ცნობილია და მაშ რათ მოხთა, რომ ჩვენმა პარტიებმა გულზე ხელი კრეს

საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლზე.

(როგორ ვებრძოლოთ პროსტიტუციას!)

მიუხედავათ იმისა, რომ ქალები დიდს დახმარებას უწევენ ნივთიური სიმდიდრის დაგროვებას, ამა თუ იმ მხარეში, საქმით ისე გამოდის, რომ თითქო მარტო ერთი მამა იყოს ოჯახში საარსებო საშუალების შემომტანი და დედა კი ამაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდეს.

ეს რასაკვირველია მითი აიხსნება, რომ ქმარი ღებულობს ჯამაგირს თავის შრომისას და ამ ფულით ოჯახი ყიდულობს თავისთვის საჭირო საგნებს. ცოლის შრომას ოჯახი უფასოთ ღებულობს. ის უვლის ბავშებს, დიასახლისობს, კერავს, რეცხავს, ასწავლის, საზოგადოთ მუშაობას თუ მეტი არა, არა ნაკლებ თავის მეუღლისა, რომლითაც ოჯახს საშუალებას აძლევს მოუკლებლად ცხოვრებისას.

რომ ცოლის შრომა წავართვათ ოჯახს, ნივთიერად უკანასკნელი ორჯერ ცუდათ იცხოვრებდა. მიუხედავათ ამისა ქმარი თავის თავს ერთად ერთ ოჯახის მარჩენელად სთვლის. აგრე უცქერის მას, თვით ცოლი და ყველა დანარჩენი. უფასო მუშაობით და მუდამ ქმრისაგან ფულის მიღებით ცოლი ხშირად ერთობ უსიამოვნო მდგომარეობაში ვარდება, როგორც არის მდგომარეობა უჯამაგირო ეკონომკისა.

ჩვენ ხვდებით მრავალ ოჯახს რუსისას, სადაც ქმარი თვითონ იხდის ბინის ქირას, აძლევს დღიურ ხარჯებისათვის თავის ცოლს ფულს და შემდეგ მოითხოვს მისგან თითეული დახარჯული კაპეიკის ანგარიშს.

ამ გვარად ცოლი თამაშობს ეკონომკის როლს იმ განსხვავებით, რომ ეკონომკა ღებულობს ჯამაგირს, რომელსაც ის თავის სურვილისამებრ ხარჯავს, ცოლს კი თავის განკარგულების ქვეშ ერთი ფარაც არ რჩება. თუ მას სურს რამე იყიდოს თავისთვის ამისათვის, მან უნდა სთხოვოს ქმარს ფული. უკანასკნელიც აძლევს მას ხშირად შეჩნევით, საყვედურით და ხან დახან, როცა მეტად დაინახავს უარსაც ეუბნება მას. ყველა ეს მრავალ ცოლებისათვის, ქრისაგან ნივთიერ დამოკიდებულობას ერთობ სამძიმოთა ხდის. და ისენიც მიისწრაფიან განითავისუფლონ მისგან თავი, საკუთარი შრომის საფასურით. ასეთ მდგომარეობაში, რომელშიაც არის ცოლი იმყოფებიან მოზრდილნი ქალიშვილებიც. ქალის ოჯახის შრომა არაფრათ არ ფასდება და მამაკაცების ქალებიდან მოთხოვა, რომ უკანასკნელნი მუშაობდენ მხოლოდ შინაური შრომით, ქმნის ნამდვილ ეკონომიურ მონობას ქალებისას.

ეხლანდელს დროში ქალებს სურს თავი განითავისუფლონ ამ მონობიდან და ისენიც მიდიან შრომის ბაზარზე.

ცნობილი ფაქტია, რომ ქალის შრომა საზოგადოთ მამაკაცის შრომაზე ნაკლებ ფასობს. შეიძლება ქალებს უფრო ნაკლებს მისთვის აძლევენ, რომ მამაკაცები შეჩვეული არიან არაფრად ჩააგდონ ის, რასაც სრულიად უფასოთ სარგებლობენ.

ეხლანდელს დროში მუშა ქალის ხელფასი, იმდენათ მცირეა, რომ ხშირად ის არ აძლევს მას საარსებო საშუალებას. ამისათვის არის, რომ ის ეძებს გამონახოს ისეთი ზომები, რომელიც გააფართოებდეს მისი შრომის სფერას. მაგრამ მამაკაცები მას ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევენ სხვა და სხვა საბაბებით. ისენი ამბობენ, რომ დედაკაცი დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი მიმსწრაფი ანგრევს ოჯახს, აგდებს დიასახლისობას და ივიწყებს ბავშებს. ისენი ამბობენ, რომ ქალის იაფფასიანი შრომა ამცირებს მამაკაცის ხელფასს.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქმრებმა ოჯახს ძალით კი არ უნდა დაუბრუნონ თავიანთი ცოლები, არამედ შექმნან ასეთი პირობები ცხოვრებისა, რომლნიც არ აგდებბდეს მათ ოჯახიდან გარედ. სანამ ასეთი პირობები არ იარსებებენ, მანამ აკრძალვა ქალების გარედ შრომისა სრულიად უნაყოფო იქნება.

რაც შეეხება ქალ-ვაჟთა კონკურენციას და მამაკაცების ხელფასის შემცირებას ქალთა შრომით, ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და არა ზიანს. აქ საჭიროა ქალთა შრომის გაუმჯობესობა და თანასწორი ხელფასის დამყარება და არა დევნა. მამაკაცები თავიანთი დიდი ხელფასით ერთობ ცუდათ სარგებლობენ. რუსეთში ისენი მარტო ერთს ალკოლზე წელიწადში 500 მილიონს ხარჯავენ. რამდენს ფლანგავენ ისენი პროსტიტუტკების ჯარზე, სუტენერებზე, მაჭანკლებზე, რომ დაიცვან აღმაშფოთებელი ვაჭრობა თეთრი მონებისა, ეს არც ისე ადვილი გამოსაანგარიშებელია. ქვეყნისათვის სასარგებლოა წახალისება და გაფართოება ქალთა დამოუკიდებელი შრომისა, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროსტიტუციის შემცირებას. დ-რი ბლაშკო ამბობს, თუ რომ უკანასკნელ დროს გერმანიის მრეწველობა დიდათ გაძლიერდა, მით რომ ქალთა შრომის მონაწილეობა იქ უფრო და უფრო განვითარდა, რომლის გამო მუშა ქალებში პროსტიტუციაც შემცირდა ბერლინში. ცხადია რომ დამოუკიდებელი შრომა ქალებს პროსტიტუციიდან იფარავს. შრომაში და განათლებაში უნდა ეძიონ ქალებმა თავის ხსნა. და საზოგადოებას კი, თუ რომ მას ნამდვილად სურს სიავესთან ბრძოლა ვალად ადევს აღმოუჩინოს ქალებს ამაში ყოველგვარი დახმარება.

ქალებისათვის მიუცილებელი საჭიროა აგრეთვე მოაწყონ ორგანიზაციულად ქალთა საზოგადოება, რომ ურთიერთ დახმარებით და

ქალს? ერთან ერთი, მამაკაცური, ეგოიზმი იყო ამის მიზეზი! მათ არ უნდათ ქალი თავის სწორად ჩასთვალონ. ამ თავის მალულ აზრს რეაქციონური სიტყვებით ფარავენ-„ჯერ ადრეა-ქალები პოლიტიკურათ მოუმზადებელი არიან“ო. რატომ ამ პასუხს არ აძლევენ მუშებს, ან გლეხებს? არა მგონია, რომ იმათ ქალებზე მეტი მომზადება ქონდეთ. განა ადამიანს შეუძლია ცურვა ისწავლოს თუ წყალში არ ჩავა?! ქალები როგორ მოემზადებიან პოლიტიკურათ, თუ მათ ამ პოლიტიკას ჩამოაშორებენ?! ჩვენი მამაკაცების პასუხი მოგვაგონებს რეაქციონურ თავად აზნაურობას ბატონ-ყმობის გადავდების დროს, რომლებიც გლეხებს მოუმზადებლათ თვლიდენ თავისუფლებისათვის. ასთე ლაპარაკობდენ ზანგების პატრონები ზანგებზე. ყველას ესმოდა კარგათ ვისთვის შეტკიოდათ მათ გული. მაგრამ ნუ დაავიწყდებათ: რომ ერს, ხალხს, საზოგადოებას მარტო მამაკაცები არ შეადგენენ. და თუ ერთ მხარეს—ეგოისტურად გატაცებულთ მაინც უნდათ მეორე ნახევარზე იბატონოს, ბატონ-ყმობა არივეს დაღუპავს. ეს სურვილი ბატონობის პოლიტიკურ პარტიებსაც დაედვა სარჩულოთ. თითეულს პარტიას ის სურს, რომ გაბატონდეს სხვებზე. ამიტომაც არაფერს არ ერიდება, რომ მოწინააღმდეგე დაამარცხოს. ქალები, რომ მესამედი მაინც იყვეს პარტიებში უფრო მყუდრო და-შეთანხმებული და ნაყოფიერიც იქნებოდა-მუშაობა, რასაც ვხედავთ შვეცია ნორვეგიაში, და ავსტრალიაში. სადაც ერთად ამხანაგურათ მუშაობენ. ეს შეთანხმება დღეს-დღეისობით ჩვენი პარტიებისათვის ძალიან საჭიროა.

პირველი სუფრაჟისტკა.

პატივიეცით ქალის ნიჭს!

რომ მამაკაცის ეგოისტურმა ინსტინქტმა შემქნა ყოველ გვარი უკულმართი მოვლენა ცხოვრებაში და დედაკაცის პიროვნება გათელა ეს უდაო ფაქტია. მხოლოდ, როცა დღეს ამ საერთო განახლების და თავისუფლების დროს ქალთა განთავისუფლება და სწორუფლიანობა სადაოთ ხდება ეს ერთობ ჩამაფიქრებელია ჩვენთვის, ქალებისათვის. ჩვენ დღეს უნდა გადავხედოთ ჩვენს წარსულს და აწმყოს, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა მაზე, თუ რა უნდა ვყოფილიყავით და რანი ვართ დღეს, რომ მომავალშიაც არ ჩავრჩეთ დუხჭირ ცხოვრებას თავის გამჭრწნელს ბრჭყალებში.

წარსულიდან დღევანდლამდე ჩვენ ვხედავთ, როგორ თან და თანობით მამაკაცებმა ქალები თავისი პირუტყული სიამოვნების მსხვერპლად გაიხადეს. ქალს რაც ბუნებამ მისცა, ის მამაკაცების კანონმა წაართვა. ასეთს მდგომარეობაში ჰყოფნა შეუძლებელია და დღეს, ისე როგორც არასოდეს ქალები უნდა წინააღუთგეთ არსებულს უსამართლო კანონებს. დღეს ქალებმა უნდა ვაგრძნობინოთ მამაკაცებს ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი ძალა. ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ სულიერი სიძლიერით და ერთობით, რომ მით დავსძლიოთ ტლანქი ძალა.

ჩვენმა ერთსულოვნურმა მოქმედებამ უნდა დაანახოს მამაკაცებს, რომ შესაძლებელია სამართლიანობის ნიადაგზე უსისხლოთ ბრძოლა და გამარჯვებაც. ჩვენი ერთობით, ჩვენ შევსძლებთ ჩავახედოთ მამაკაცები თავიანთ საქციელში და ავლძრათ მათში სინდისის ქენჯნა მათ მიერ შექმნილ უსამართლობაში. ჩვენი ძალა,— ჩვენი ერთობაა! ხასიათის სიმტკიცე და სულიერი სისპეტაკე,—აი ჩვენი ერთად ერთი იარაღი, რომელიც ყოველ მახვილზე უფრო მჭრელია. მხოლოდ დავიცვათ ეს ერთობა, ნუ დავქსაქსულვართ და ნუ ჩავმხვრჩვალვართ პარტიულ შუღლსა და ქიშპობაში. ქართველი ძველი დედები თავიანთი სულიერი სიძლიერით და გონებრივი სიმაღლით მამაკაცებს თავს ახრევინებდნენ. და ისენი იძულებული იყვნენ სიმართლე ეთქვათ მათზე და ამბობდენ კიდეც. ისტორია თამარ დედოფალს „სწავლულთა მასწავლებლათ, მოსამართლეთა ბჭეთა ბჭეთ, სამართლისა და სამჯავროს ლარადა„ სთვლის. ჩვენ თანამედროვე ქალებიც შევსძლებთ ამ სიმართლის მხილებს, რომ დღევანდელმა ეროვნულად სულ შეცვლილმა ჩვენმა ძმებმა თავი დახარონ ჩვენს წინაშე. და იცნონ სამართლიანი მოთხოვნილება დღევანდელი ქართველი ქალებისა.

ქართველმა ქალებმა დღეს ერთხმათ უნდა შევძახოთ მამაკაცებს: ნუ დევნით ქალთა ნიჭს, რომელიც თქვენზე ნაკლები მათ არ აქვთ. ნუ დევნით, იმ ქალებს, რომელსაც მოვალეობა თავის ადამიანური პიროვნებისა და ქვეყნის წინაშე, თქვენზე ნაკლებ არ ესმით. გაიგეთ, რომ მარტო მამაკაცებს არც ქვეყნისა და არც ხალხის კეთილდღეობის მოწყობა არ შეგიძლიათ! დღეს ქართველი ქალები ფეხსა ვდგამთ სამოქალაქო ასპარეზზე და ერთსულოვანი იერიშის მიტანაა საჭირო მათზე, ვინც ჩვენ ამ გზაზე წინ გადაგველობება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება.

გაუმარჯოს ქართველ ქალთა ერთობას!

მარიამ აბაშიძე.

ს. სავანე.

კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი.

დაიმხო ძველი მთავრობა, ქვეყანა განახლების გზას დაადგა, გამოცხადდა ქალთა სწორუფლიანობაც, მაგრამ არსებითად ქართველი ქალის ცხოვრება არაფრით არ შეცვლილა. და ისევ ისე ძველს ძალმომრეობის ქვეშ იხრჩვება მისი ადამიანური პიროვნება! დღევანდელი მთავრობა სოციალისტებისა ყველაფერზე ზრუნავს, გარდა ქალთა უმწეო მდგომარეობაზე. ამა თუ იმ პარტიებში არიან მამაკაცი წევრები, რომლებსაც საშუალება აქვთ და ცოლ-შვილი კი უპატრონოთ დაუყრიათ და თავიანთ ქონებას ახალ-ახალ მიჯნურებში ფლანგავენ. არიან ისეთი პირები, რომლებსაც 15 წლის მოსამსახურე გოგოებზე ძალა უხმარიათ, თუ შეუცდენიათ და შემდეგ უპატრონო მსხვერპლი თავისი ბავშით შარა-გზაზე გადაუგდიათ ყოვლად შეუწევნელად და სინიდისის აღუშფოთებლად. ბელგიაში 1913 წ. ერთმა სოციალისტმა, რომელიც საერთაშორისო სოციალისტთა ბიუროს მდივნათ ითვლებოდა, როცა ასეთი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა და ეს ფაქტი გამოცხადდა, მან თავის ამხანაგებში ისეთი აღშფოთება ამოიწვია, რომ ეს კაცი უკვალოთ გდაიკარგა. ჩვენში-კი ასეთს მოვლენას, ისე გულგრილათ უცქერიან, რომ არა თუ ყურადღებას არ აქცევენ, არამედ როცა სხვები ასამართლებენ მას, თავისი პარტიის ამხანაგები ქომაგათ უდგებიან და ამართლებენ კიდეც ასეთს ადამიანს.

ქ. ქუთაისში ახალი მთავრობის

ერთობით შევებრძოლოთ არსებულ სიავეს.

ცალცალკე მათ არ შეეძლებათ ამ სიავესთან ბრძოლა და არც უფლების მოპოება განათლებაზე, შრომაზე და საზოგადო მოღვაწეობაზე. ცალცალკე მათვის მოუხერხებელი ხდება იბრძოლონ თავიანთი ადამიანური უფლებისათვის და ეწინააღმდეგონ იმ კანონებს, რომელიც მათ მონობაში იჭერს. მაგრამ ერთად შეერთებულებს კი ექნებათ საშუალება ასეთი ბრძოლისა. ინგლისელ ქალებმა ბევრს მიახწიენ და აქ მათ დიდი დახმარება გაუწია მათმა კავშირებმა. ეხლანდელს დროში მთელი დიდი ბრიტანია ქალთა კლუბებით მოფენილია. ასეთი მოვლენა ხდება ამერიკაშიაც. ქალთა კავშირები ხელს უწყობენ ქალების გონებრივ ამაღლებას, მათში ურთიერთს სიმპატიის განვითარებას და მოქალაქური სულის გაღვიძებას.

თავიანთი ერთობით ამერიკელ და ინგლისელ ქალებს საშუალება აქვთ დაიცვან თავიანთი ადამიანური უფლება. მე-80-ცე წლებში ინგლისელი ქალები შეუდგენ აგიტაციის გაწევას წინააღმდეგ თეთრი მონების ვაჭრობის დაკანონებისა და მიახწიეს მას, რომ უარყოფილი იქმნა რეგლამენტაცია პროსტიტუტკებისა. მე-90 წლებში ამერიკაში, ახალ ორლეანში ექიმებმა მოინდომეს ბიწიერების რეგლამენტაციის შემოღება, მაგრამ ქალებმა თავიანთი ერთობით ისეთი გრანდიოზული მიტინგი მოაწყვეს მის საწინააღმდეგოთ, რომ მამაკაცებმა ხელი აიღეს თავიანთ პროექტის განხორციელებაზე. ამერიკელი და ინგლისელი ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადო ცხოვრებაში, მაგრამ ამით არავის არ შეუძლია მათზე სთქვას, რომ ისენი მთელ ქვეყანაზე ცუდი ცოლები და დედები იყვნენ. არსად ქალები, იმდენს ყურადღებას არ აქცევენ მოზარდი თაობის აზრდას, როგორც იქ. ცხადია რომ უფრო მეტად განვითარებული გონება და აქტიური მონაწილეობა საზოგადო საქმეში აღვიძებს ქალებში მოვალეობის შეგნებას თავის ბავშების მიმართ და მისწრაფებას ამ მოვალეობის უკეთ შესრულებისას. რუსეთში ქალთა კავშირები მხოლოდ ეხლა ჩნდებიან და ამისათვის ქალთა ერთობაც მხოლოდ ეხლა იწყება. ქალთა საზოგადოების მოწყობა დიდს წინააღმდეგობას ხვდება, 1) როცა რუსის ქალთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების დამფუძვნებლებმა მოიფიქრეს, რომ მისთვის სახელად ქალთა კლუბი დაერქვათ, მათ ნება არ მისცეს, იმ საბუთით, რომ ქალთა კლუბი რუსეთში აკრძალულია. როცა საზოგადოების წესდება გადაამუშავეს საურთიერთო საქველმომქმედო აზრით ის დაამტკიცეს 1896 წ. ამ საზოგადოების მოქმედებამ ქალთა მოძრაობაზე და მათ ერთობაზე დიდი არაფერი გავლენა არ მოახდინა. პეტერბურგში არსებობს სხვა საზოგადოებაც ქალებისა. მაგალითად საზოგადოება ახალგაზრდა ქალიშვილებზე მზრუნველი, ჩვენ მაზე უკვე ვილაპარაკეთ. 1902 წ. მზგავსი საზოგადოება დაარსდა ოდესაში. რამდენიმე ცვლილებებით ასეთი საზოგადოება დაარსდა სარატოვში, ნიჟნე-ნოვგოროდში. ცხადია რუსის ცხოვრების პირობები უფრო ხელს უწყობს ასეთი საზოგადოების განვითარებას, ვიდრე საურთიერთო საქველმომქმედო საზოგადოებისას. რუსის საზოგადოება მიჩვეულია ქველმოქმედობას მდაბიო კლასის მცხოვრებლებისათვის, ვიდრე შეკავშირდეს ჯგუფურად და გაუწიოს ერთი-მეორეს დახმარება. მაგრამ აღვნიშნავთ გაკვრით იმასაც, რომ ასეთი მოქმედობა ერთობ გამოუდეგარია. მით, რომ ისენი, რომელნიც საჭიროებენ დახმარებას ერთობ ბევრია და ქველმომქმედნი კი უმნიშვნელო რიცხვი. უკანასკნელნი ძალ ღონიდან იცლებიან, რომ შეუმსუბუქონ გაჭირვებულთ მდგომარეობა, მაგრამ ერთობ ცოტას აკეთებენ, რადგან მცირეა რიცხვი როგორც ხალხისა, ისე საშუალებისა. შეერთება სხვა და სხვა ჯგუფებათ, რომელთ წევრები ერთი მეორეს დაეხმარებიან გაცილებით უფრო სასარგებლოა საზოგადოებისათვის. ქველმოქმედებას ეწევიან უმაღლესი კლასი, ან და ერთობ მდიდარი ხალხი.

შეკავშირებას სხვა და სხვა ჯგუფებათ კი მოახერხებს ყველა კლასი მცხოვრებლებისა და ამნაირად საურთიერთო დახმარება უფრო ფართო ნაწილისათვის შესაძლებელიც იქნება. ამისათვის სასურველია, რომ ჩვენში არსებობდეს მეტი საზოგადოებები, რომლის წევრები გაუწევდენ ერთი მეორეს სულიერსა და ნივთიერს დახმარებას.

რუსის მუშა ქალები სხვა და სხვა პროფესიისა, რომ შეადგენდენ თავიანთ წევრებისათვის საურთიერთო დამხმარე საზოგადოებას მათი პროსტიტუციაში ჩავარდნაც ძნელი იქნებოდა. ის დიდი პროცენტი ობლებისა, რომლებსაც გაჭირვება აგდებს პროსტიტუციაში მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარტოხელი ცხოვრებას. ახალგაზდა, მარტოხელი ქალი ასეთს საზოგადოებაში ყოველთვის იპოვიდა ზნეობრივსა და ნივთიერს დახმარებას, რომელიც დაიცავდა მას დაღუპვისაგან. ასეთს დახმარებას მიიღებდა ის არა გარეშე პირთაგან ქველმომქმედთა სახელით, არამედ თავისიანებისაგან თავის საზოგადოების ამხანაგებიდან.

ექიმი მ. ი. პაკროვსკაია.

(შემდეგი იქნება)

---

1) ეხლა ამ წინააღმდეგობას მათ ძველი მთავრობის ნაცვლად სოციალისტები უწევენ განსაკუთრებით საქართველოში.

სრული მმართველობის დროს, ისეთი უსამართლოება ხდება ქალთა მიმართ, რომელიც ძველი მთავრობის დროსაც-კი იშვიათად მოხდებოდა. აი თუნდაც ისეთი მაგალითი, რომელიც ეუწყა ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკურ კლუბის ბიუროს. ჭავჭავაძის ქუჩაზე ცხოვრობს პელაგია ნარიშელაშვილი დაქვრივებული ორი თვის წინათ. მას დარჩენია ორი შვილი. მაზლებსა და მამამთილს მისთვის გამოუცხადებიათ, რომ ბავშვები დედას მათთვის გადაეცა და თვითონ კი წაბრძანებულიყო, სადაც სურდა იმ გადმონაგდები საჩუქრით, რომელსაც მას ისინი უბოძებდენ. ან და ეჩივლა და მიეღო ის, რასაც სასამართლო მიანიჭებდა. მგლოვიარე ცოლი ასეთი განცხადებით აღშფოთებული, რასაკვირველია, რომ თავის შვილებს მათ არ მიასაკუთრებდა და ასეთს წინადადებას არ მიიღებდა. მამამთილსა და მაზლებს მსწრაფლ სასამართლოსთვის მიუმართავთ და მომრიგებელს მოსამართლეს ამ განახლებისა და ქალთა სწორ-უფლიანობის დროს მოპასუხის დაუსწრებლად აპეკუნობა მამამთილისათვის მიუნიჭებია. და წასულ კვირას უკანასკნელი, სასამართლოს ბოქაულით და ზარეჩნი უბნის მილიციონერების თანხლებით ნარიშელაშვილის ქვრივს სტუმრებია. აუწერიათ ყველაფერი, არა თუ უძრავი, მოძრავი ქონება, ასე გასინჯეთ თვით საცვლები და ნიშნის ბეჭედიც. შეუდგენიათ ოქმი, რაზედაც თავის ოჯახიდან გაძევებლად ქვრივისათვის ხელის მოწერა მოუთხოვნიათ. მას, იქ ბედათ შესწრებია ჩვენი ერთი ამხანაგი, თავის ნათესავი სტუდენტი, რომელსაც გამოუცხადებია მისთვის, რომ ხელი არ მოეწერა ასეთი აშკარა ძალმომრეობის და ყოვლად უკანონოთ შედგენილს ქაღალდზე.

დღეს ეს საბრალო დედა თვალცრემლიანი ზის თავის ოთახში და არ იცის, როდის წაგლეჯენ მას თავის ტანჯვით ნაშობს და წვითა და დაგვით აღზრდილს შვილებს უფლებიანი ქმრის მემკვიდრეები. აი როგორ აფასებენ მამაკაცები დედობრივ გრძნობას, აი როგორ პატივსა სცემენ მას, ეხლაც ამ სწორ უფლიანობის დროს. იმ გრძნობას, რომელსაც, როცა მათ ეჭირვებათ ქალების უწმინდეს მოვალეობათ სთვლიან. განა აშკარა არ არის, რომ მამაკაცები, მისთვის გვჩრიან პირში დედობრივ მოვალეობას, ჩვენი ადამიანური უფლების მოსპობის საწინააღმდეგოთ, რომ ჩვენი დედობრივი უფლება მუდმივ დაკარგული იყოს?! მათ აშინებს არა ქალების მიერ დედობრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, (რომლის შესასრულებლათ ქალებს მამაკაცების კარნახი არა სჭირდებათ), არამედ ქალების მიერ დედობრივი უფლების მოპოვება, რომ მათ ნება ჰქონდეთ, როცა მოესურვებათ დედებს შვილები მკერდიდან მოგლიჯონ და როცა არა, სრულიად უპატრონოთ დასტოვონ თავიანთი ცოლ-შვილი. მაგრამ დღეს სხვა დრო დაუდგათ ბატონობის მოყვარეთ. და ასეთი ძალადობით ვერას გახდებიან. ნარიშელაშვილის ქვრის ჩვენ მიერ გზა უკვე ნაჩვენები აქვს და ვნახოთ ის პირები, რომელზედაც ჩვენ მას მიუთითეთ, როგორ დააკმაყოფილებენ ამ მწუხარე ადამიანის ჩივილს.

ქალებო, თუ გსურთ, რომ ძალა ჰქონდეს თქვენს სამართლიანს ჩივილს, შემოკრბით საერთო ქალთა ორგანიზაციის გარშემო, რომ საერთო ძალით თავი მოვიგეროთ ასეთი აშკარა უსამართლოებისაგან ჩვენი ადამიანური უფლების დასაცველად.

კატო მიქელაძე

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პეტროგრადი.

კერენსკიმ რუსეთი რესპუბლიკათ გამოაცხადა, სახელმწიფოს დასაცველად ხუთ-წევრიანი დირექტორია შესდგა.

12 ენკენისთვეს პეტროგრადში სრულიად რუსეთის დემოკრატიულ სათათბიროს იწვევენ.

მთავრობამ ფინლიანდიის ავტონომია გააფართოვა.

ომი.

გერმანელები მისკზე და დვინზე შეტევას აწარმოებენ.

სოფია.

30 მარიამობისთვეს გადაიცვალა ბულგართა დედოფალი ელეონორა.

კორნილოვის დამორჩილება.

კორნილოვის გამოლაშქრება სრული დამარცხებით დამთავრდა. კორნილოვი დატყვევებულია. პეტროგრადში რჩეული რევოლიუციონური ჯარი იგზავნება.

ახალი ამბავი.

—შინაგან საქმეთა სამინისტრო ქუთაისის გუბერნიის კომისარს დეპეშებით აუწყებს, რომ დროებითი მთავრობის დადგენილობით წელს უმაღლეს სასწავლებელში მეცადინობა შეწყვეტილი იქნება.

ახალი გაზეთი

✦ ილია მირიანის ძე ქყონიას რედაქტორობით თბილისში გამოვიდა პირველი №-რი ახალი გაზეთისა „სიმართლის გზა“

ღია წერილი

(ქ. სამტრედიის ზოგიერთ მამაკაცების მიმართ, განურჩევლათ პარტიისა).

ქ. სამტრედიის ქალთა ორგანიზაციას 25 მარიამობისთვეს ჩაეყარა საძირკველი.

სიმპატიურს, ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია დაჩაგვრებულ, დამონავებულ ქალების „მეს“ აღდგენა.

ჩვენის დაკვირვებით მამაკაცებში სოციალისტებთა შორის, მიუხედავათ მათი მიმართულებისა, ჩვენ ვერა ვხედავთ დამონებული ქალების სწორ-უფლებიანობის დამცველებს.

და ჩვენ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალებით ჩვენი თავის განთავისუფლება.

მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ, ჩვენს სრულ-უფლებიანობას არ იცავთ, ჩვენ მშრომელი ქალები მაინც სულით და გულით თქვენთან ვართ — და ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად დიადი თავისუფლებისათვის უკანასკნელ ძალ ღონემდე.

ყველა ჩვენთაგანი ამ რწმენით არის აღჭურვილი დღეს და იქნება შემდეგშიაც

ჩვენი ორგანიზაცია უპარტიოა.

ჩვენ ტანჯული მუშა ქალები აქ თავს ვიყრით ყველა პარტიიდან და ჩვენს პარტიულ რწმენას გარეთ ვტოვებთ და ის ქალთა საერთო ოჯახში არ შეგვაქვს.

ჩვენ ამ საერთო ოჯახში ერთი ვართ, ერთი აზრით გამსჭვალულნი, რომ აღვადგინოთ ჩვენი ადამიანური უფლება.

თქვენც გაქვთ უფლება აქ შემოსვლის, თქვენთვისაც ჩვენი ორგანიზაციის კარები მუდამ ღიაა და შეგვიძლიათ მობრძანდეთ.

მხოლოდ უნდა გახსოვდეთ ის, რომ ჩვენს საერთო ოჯახში, რომ მობრძანდებით, თქვენი პარტიული მიზანი გარეთ უნდა დასტოვოთ.

აქა-იქ, ჯგუფ-ჯგუფათ საყვედური გაისმის. შემთხვევაც იყო, ერთი ჩვენი წევრი იძულებული გახადეთ, ბოდიში მოეხადა.

ნუ თუ ეს საკადრისია? თქვენ გეკითხებით მამაკაცებო!

თქვენში ჩვენ ვერა ვხედავთ ჩვენი უფლების დამცველებს. თქვენმა ჩვენს წინაშე ლარაზმამ ნათლად დაგვანახვა თქვენი სულის კვეთება, ჩვენი უფლებების აღდგენისადმი. დღეს ეს თქვენ აშკარად დაგვანახეთ; და თუ ეს ასეა—ცდებით, თუ ამ ძალმომრეობით ფიქრობთ ჩვენი ერთობის დაშლას.

ჩვენ შეკავშირებული ვართ და ამ კავშირს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ. და მასთან სასტიკ პასუხს მოვთხოვთ ჩვენი სიმპატიურ ორგანიზაციის აბუჩად აგდებისათვის. დღეს თავს ნებას არ ვაძლევთ იმ ვაჟბატონების სახელი და გვარი აღვნუსხოთ და თუ შემდეგში კვლავ განმეორდა შევეცდებით ფართო საზოგადოებას ვაუწყოთ მათი სახელი და გვარი და მათი არა ადამიანური მოპყრობა ჩვენდამი.

შორს ჩვენგან ის მამაკაცები, რომლებიც აღუდგენ ჩვენს ნორჩს კავშირს. ჩვენ მოუწოდებთ იმ მამაკაცებს, რომლებიც იცავთ ჩვენს ინტერესებს, ხელს უწყობს ჩვენს ერთობას

დაგვეხმარეთ ისე, როგორათაც ჩვენ, თქვენ გეხმარებით და გამოგვიწოდეთ მეგობრული ხელი ისე, როგორათაც ჩვენ თქვენ გიწვდით.

ქ. სამტრედიის, საერთო ქალთა კავშირი

პირველი ნაბიჯი.

აღსრულდა. მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო.

25 მარ. საათის 9 მოდის ჩემთან ორი ამხ ქალი. აღფრთოვანებული სულით გაცისკროვნებული და მეუბნება: „მეგობარო! ჩვენ მზათა ვართ, იმედია ლექტორს მოიყვან რომ ჩვენ ორგანიზაციულად მოვეწყოთ, რათა ერთად შეკავშირებულმა შევსძლოთ ქალთა უფლებების დაცვა და ამ უფლებების აღდგენა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ქონდა. ასეთი წინადადების შემოტანისაგამო.

მეც რასაკვირველია ლექტორზე მიუთითე და აღუთქვი დახმარებასაც გაგიწევ მეთქი.

25 მარ. გათენდა ეს დღე არა ჩვეულებრივ დღეთ უნდა ჩაითვალოს ქ. სამტრედიის მუშა ქალებისათვის.

ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა. საათის 11 რ. გ. კლუბის კარები გავაღე და დარბაზში შევედი.

დარბაზი მუშა ქალებით გავსებული იყო სრული სიჩუმეა და ამ სიჩუმეს მხოლოდ საყვარელი ლექტორის ხმა არღვევს, რომელიც დარბაზში უხვათ იპნევა და მშრომელ ქალებს ყურს უტკბობს, გულის სიღრმემდი წვდება, აცისკროვნებს მათ და აღფრთოვანებულთ მომავლისაკენ მოუწოდებს.

დარბაზს თვალი გადავავლე და დავინახე, რომ ყველა პარტიიდან არიან მშრომელი ქალები, რომლებსაც ამ წუთას პარტიული კითხვები და იდეია დარბაზ გარეთ დაუტოებიათ დროებით და ყველა ერთ მიზნისაკენ არიან მიმართული. ეს არის: „ქალთა უფლებების დაცვა.“

ლექტორმა ამხანაგმა ტიტე სიხარულიძემ მკაფიოდ განმარტა ქალთა კითხვა.

მოიყვანა მაგალითები ქალთა სწორუფლებიანობის შესახებ: გერმანელის, საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთის და სხვები სოციალისტების აზრები და მათი ნაკლიც აღვიარა.

ყველა ამან მუშა ქალებში აღფრთოვანება გამოიწვია.

ლექციამ სამი საათი გასტანა.

ლექციის შემდეგ ლექტორმა მუშა ქალებს მოუწოდა მხნე მუშაობისაკენ.

ქალებმაც ბევრი არ დააგვიანეს, ჩაეწერენ წევრებათ და აირჩიეს ბიურო ათი ქალებისაგან შემდგარი.

სხვათა შორის ამხ. ლექტორმა მოუწოდა მუშა ქალებს თავთავიანთ ორგანიზაციებში მამაკაცებთან ერთად გაორკეცებული მუშაობა, რომ საერთო ძალით რუსეთის ბრწყინვალე რევოლიუცია დავვირგვინდესო და ამ სიტყვებს მან ხაზი გაუსვა.

აქვე არ შემიძლია არ ავღნუსხო ამხანაგ ქალი შვილების კანდელაკის და ნინუას უტაქტობა ეს ორი არსება იმდენათ გაფანატიკოსებულია ს. დ-ბის იდეით, რომ ირონიულად გასცქეროდა მოფუსფუსე მშრომელ ქალებს, რომლებიც წევრებათ ეწერებოდენ.

ამ შემთხვევამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ვით გარიყულმა ანგელოზებმა დარბაზი დასტოვეს.

(შემდეგი იქნება.)

სელოს—ძე

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქ. სახ. გოკიელოვისა